№766 2015 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა უზრუნველყოს ფაშიზმზე გამარჯვების 70-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ფარგლებში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა საიუბილეო მედლით დასაჯილდოებლად მედლების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურმა განახორციელოს ,,საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში (პროგრამული კოდი 54 00).

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**